საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 513/ს
14/12/2022

513-21-4-202212141309

ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, მდინარე რიონზე შპს „ალპანა ენერჯის“ 56.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ალპანა ჰესის) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის 3.4 და 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, მდინარე რიონზე შპს „ალპანა ენერჯის“ 56.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ალპანა ჰესის) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N69;
2. შპს „ალპანა ენერჯი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N69 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ალპანა ენერჯიs“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ალპანა ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო